თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. თელავი

23.11.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ზ. მუსაევი; ნ. ხვისტანი; ზ. ლილუაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ორკოდაშვილი. დეპუტატები: დ. ღაღანიძე; ლ. კოჭლოშვილი; გ. ჩაბრაშვილი; გ. მამუკელაშვილი. სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ფ. ყუშიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ნ. ბაჩიაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გ. ენუქიძე; ჟურნალ „ოლე"-ს წარმომადგენლები; ტელეკომპანია „თანამგზავრი"-ს წარმომადგენლები; მოქალაქე - ა. მჭედლიშვილი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი"-ს და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2019-2022 წლებისთვის" განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. <u>მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი"-ს და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2019-2022 წლებისთვის" განხილვის შესახებ.

ნ. ვაყელიშვილმა; ფ. ყუშიტაშვილმა; ნ. ბაჩიაშვილმა და გ. ენუქიძემ დარგობრივად წარმოადგინეს თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ. ორკოდაშვილი - თანაბრობის პრინციპი იყოს დაცული ქალაქსა და სოფელს შორის და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაკეთდეს გარე ტრენაჟორები.

ლ. კოჭლოშვილი; გ. მამუკელაშვილი - სრულად იქნას წარმოდგენილი (მერია, საკრებულო) წარმომადგენლობითი ხარჯი;

დეპუტატების აზრით: 1. წარმოდგენილ პროექტში სრულად არ არის დაცული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ფორმატი და საჭიროა მისი „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების დებულებასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა; 2. ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვის შესახებ. 3. გასათვალისწინებელი, რომ 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა საპრივატიზებო ნუსხაში არსებული ობიექტების პრივატიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის ბიუჯეტში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას 200,0 ათ. ლარი არაფინანსური აქტივების კლება და აღნიშნული შემოსავლით დაფინანსდეს ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის ხარჯები; 4. მიზანშეწონილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების თანხა 200,0 ათ. ლარიდან გაიზარდოს 300,0 ათ. ლარამდე. ასევე გაიზარდოს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა 30,0 ათ. ლარიდან 60,0 ათ. ლარამდე;

<u>გადაწყვიტეს:</u> მომზადდეს შესაბამისი დასკვნა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვამდე, გაითვალისწინოს გამოთქმული შენიშვნები და მოახდინოს შესაბამისი ცვლილებები.

(დასკვნა თან ერთვის ორ ფურცლად)

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ... დ. გოგოშვილი

„თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“-სა და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის“ განხილვის

დ ა ს კ ვ ნ ა

2018 წლის 23 ნოემბერს ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“ და 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

კომისიამ ჩათვალა რომ წარმოდგენილი პრიორიტეტების დუკუმენტი შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს“ იგი არ არის თანხვედრაში „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებასთან და საჭიროებს ხელახალ დაზუსტებას კერძოდ: მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტის ცალკეული პროგრამები და ქვ.პროგრამები არ არის დაკონკრეტებული და არ შეიცავს დაფინანსების მოცულობას, აღწერას, მიზანსა და შედეგს.

კომისიამ გამოყო ბიუჯეტის პროექტის შემდეგი მუხლები:

თავი II, მუხლი 16. „თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03,00);

ბ) განათლება (პროგრამული კოდი 04,01,02);

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05,03);

დ) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05,05);

ე) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05,06).

გარდა ამისა გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა საპრივატიზებო ნუსხაში არსებული ობიექტების პრივატიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის ბიუჯეტში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას 200,0 ათ. ლარი არაფინანსური აქტივების კლება და აღნიშნული შემოსავლით დაფინანსდეს ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის ხარჯები.

კომისიას მიჩნია რომ მიზანშეწონილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების თანხის 200,0 ათ. ლარიდან 300,0 ათ. ლარამდე გაზრდა ასევე

არასაკმარისია სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა 30,0 ათ. ლარი და სასურველია გაიზარდოს 60,0 ათ. ლარამდე;

კომისიამ ჩათვალა რომ თანაბრობის პრინციპის დაცვით ქალაქსა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში უნდა გაკეთდეს გარე ტრენაჟორები და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი